

სსიპ - არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო



საკონკურსო დოკუმენტაცია

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შესყიდვის მიზნით

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

- სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
- კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. თერჯოლაში, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 33.09.42.188) მდებარე შენობა-ნაგებობების არარეაბილიტირებული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციის, ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობის და ტერიტორიის (ეზოს) არარეაბილიტირებული ნაწილის კეთილმოწყობის საუკეთესო არქიტექტურულ-სარეკონსტრუქციო სამუშაოების კონცეფციის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
- კონკურსის მსვლელობისას კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს პროექტი, რომელშიც იქნება მრავალფუნქციურობის, პრაქტიკულობის სინთეზი და არსებულ (რეაბილიტირებულ) ნაწილთან სრულ შესაბამისობაში.
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **90 000,00 ლარს (ოთხმოცი ათასი ლარი და 00 თეთრი).**
- დაფინანსების წყარო: 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღე.**
- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
 - საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე ლარებში (www.procurement.gov.ge).

მიმღების ბანკი	სახელმწიფო ხაზინა
	ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღები	ხაზინის ერთიანი ანგარიში
	ანგარიში/სახაზინოკოდი - 707797130

- საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
- საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-7 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
- წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ძალაშია კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
- საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
- საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება - **2015 წლის 5 ივნისს 17:00 საათზე.**
- დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ **2015 წლის 5 ივნისს 17:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი ალ. ყაზგების გამზ. #42, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში.**
- საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება და საკონკურსო კომისიის მიერ დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება - **2015 წლის 5 ივნისს 17:00 საათზე.**
- დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, დამოუკიდებელი ექსპერტის - **სსიპ ლევან**

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდგომ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

16. გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია საექსპერტო დასკვნაში აღმოჩენილი ნებისმიერი დეფექტი ან/და ხარვეზი გამოასწოროს გონივრულ ვადაში.
17. კონკურსანტის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას საავანსო ანგარიშსწორება არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 40%-ის ოდენობით, გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ) საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა **30 (ოცდაათი)** კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
18. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
19. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით:

#	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	საკონკურსო წინადადების ფასი:	5
2	შენობა-ნაგებობების და ეზოს დაგეგმარება-დიზაინი	2
3	პრეტენდენტის გამოცდილება (ბოლო პერიოდში დაპროექტებული და რეალიზებული არანაკლებ 3 პროექტის ჩამონათვალი, რომელიც უნდა მოიცავდეს შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაცია და გამაგრებით ასევე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს)	3
სულ:		10

20. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტები მოიწვიოს ზეპირ ვაჭრობაზე, რომლის ჩატარების დრო და ადგილი კონკურსანტებს ეცნობებათ დამატებით წერილობითი სახით.
21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. „შემსყიდველი“ ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
22. „შემსყიდველი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ნაწილზე და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციულ ნაწილზეც ექსპერტიზის ჩატარება დამოუკიდებელ ექსპერტთან - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა ან სხვა აკრედიტებულ პირთან.

23. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- 23.1. საკონკურსო წინადადების ფასი **დანართი #2-ის** მიხედვით (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში. ამასთან იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი და მითითებული უნდა იყოს დღგ-ს გარეშე;
- 23.2. გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა **დანართი #4-ში** არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით;
- 23.3. აფიდავიტი (შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ) **დანართი #1-ს** მიხედვით.
- 23.4. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ (ბოლო პერიოდში დაპროექტებული და რეალიზებული არანაკლებ 3 პროექტის ჩამონათვალი, რომელიც უნდა მოიცავდეს შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაცია და გამაგრებით ასევე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს)
- 23.5. მინიმუმ 1 (ერთი) სარეკომენდაციო წერილი მსგავსი პროექტის დამკვეთებისაგან.

24. კონკურსანტის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- 24.1. განაცხადს დანართის სახით უნდა დაერთოს ესკიზური პროექტის ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF-ის ფაილით) შემდეგი შემადგენლობით და თანმიმდევრობით:
 - ▶ საპროექტო ორგანიზაციის დასახელება და შესაბამისი რეკვიზიტები;

- ▶ განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
- ▶ შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის გენ.გეგმის პროექტი;
- ▶ შენობის აშენების, გადახურვის და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების, კარ-ფანჯრებზე გამოყენებული მასალების აღწერა-მითითება;
- ▶ სარეაბილიტაციო შენობების აღდგენა-გამლიერების სავარაუდო პროექტის მოკლე ანოტაციები.

24.2. პროექტის გრაფიკული ნაწილი:

- ▶ სიტუაციური გეგმა მ1:1000;
- ▶ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა ტოპოგრაფიულ რუქაზე დატანილი მ1:500;
- ▶ შენობის ყველა ფასადები მ1:200 (გრაფიკული);
- ▶ სარეაბილიტაციო შენობების აღდგენა-გამლიერების სქემები მ1:100.

24.3. მაღალი ხარისხის ფოტომონტაჟი და შენობა-ნაგებობების და ეზოს დაგეგმვა-დიზაინის რენდერები.

25. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

25.1. იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
- ცნობა მომსახურე ბანკ(ებ)იდან კუთვნილ საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების არ არსებობის შესახებ.

25.2. ფიზიკური პირებისათვის:

- პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ან/და გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობის ასლები;
- ცნობა მომსახურე ბანკ(ებ)იდან კუთვნილ საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების არ არსებობის შესახებ.

26. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

27. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე.

28. მიწოდების პირობები და ვადები:

28.1. კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ პროექტი შედგენილი უნდა იქნას **დანართი #3**-ში მითითებული ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კონკურსის მომწყობს წარუდგინოს არქიტექტურული პროექტი, დაბეჭდილი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით გამოფენისთვის, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება, ხარჯთაღრიცხვა და მშენებლობის დასრულების სავარაუდო ვადები;

28.2. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან **50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის** განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი და ელექტრონული ვერსია **ArchiCAD**-ის ან **AutoCAD**-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი **PDF** ფაილის სახით, **დანართი #3**-ში მითითებული მოთხოვნების გათვალისწინებით;

28.3. მიმწოდებლის მიერ მომზადებული სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს **3 000 000 ლარს (სამი მილიონი ლარი და 00 თეთრი).**

28.4. მიმწოდებელი“ ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ნებართვების მისაღებად, მოუმზადოს „შემსყიდველს“ საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს არქიტექტურულ სამსახურში წარსადგენად.

დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში, მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42.

საკონტაქტო პირი: ნინო გოგია

ტელ: (+995 32) 210 59 73.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაუხსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის გიორგი ჩიფჩიურის სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42;

საიდენტიფიკაციო კოდი: 204 534 502;

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;

ბანკის კოდი: 220 101 222;

ანგ/ნომერი: 200 122 900;

(შემდგომში “შემსყიდველი”)

და მეორეს მხრივ, ----- წარმოდგენილი ----- სახით

მისამართი: -----

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის კოდი:

ა/ა:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველ“ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება დანართი #_ შესაბამისად.**
- 2.2 CPV კოდი - **713 20000 საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.**
- 2.3 ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. მიწოდების პირობები და ვადები

- 3.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან **50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის** განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი და (ელექტრონული ვერსია **ArchiCAD-ის** ან **AutoCAD-ის** პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი **PDF** ფაილის სახით. ხარჯთაღრიცხვა **დანართ #_**-ში მითითებული მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 3.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ნაწილზე ექსპერტიზის ჩატარება დამოუკიდებელ ექსპერტთან - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა ან სხვა აკრედიტებულ პირთან.

- 3.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში მოუმზადოს „შემსყიდველს“ საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს არქიტექტურულ სამსახურში წარსადგენად და შესაბამისი ნებართვების მისაღებად.
- 3.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია პროექტის რეალიზების პერიოდში განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საპროექტო დოკუმენტაციაში.
- 3.5 მიმწოდებლის მიერ მომზადებული სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 3 000 000 ლარს (სამი მილიონი ლარი და 00 თეთრი).

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთიანად, დამოუკიდებელი ექსპერტის - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდგომ.
- 4.2 „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს ღირებულება და შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.
- 4.3 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია.

5. ფასი და ანგარიშსწორება

- 5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, დამოუკიდებელი ექსპერტის დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდგომ **15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში**.
- 5.2 **მიმწოდებელი ვალდებულია საექსპერტო დასკვნაში აღმოჩენილი ნებისმიერი დეფექტი ან/და ხარვეზი გამოასწოროს გონივრულ ვადაში.**
- 5.3 ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.
- 5.4 დაფინანსების წყარო: **2015 წლების საბიუჯეტო ასიგნებები.**
- 5.5 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.
- 5.6 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.
- 5.7 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას საავანსო ანგარიშსწორება არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 40%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ) საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა **30 (ოცდაათი) კალენდარული დღით** უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 6.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.
- 6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.
- 6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.
- 6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
- 6.5 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია ან/ და კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

- 7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

- 8.1 „მიმწოდებელს“ უფლება არ აქვს მოახდინოს შესრულებული პროექტის რეალიზება (განხორციელება) სხვა დამკვეთისათვის.
- 8.2 „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
- 9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 9.3 თუ „მიმწოდებელი“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
 - 9.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს **ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.**
 - 9.3.2 განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.
- 9.4 თუ „შემსყიდველი“ დარწმუნდება, რომ შეუძლებელია ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ დააჯარიმოს **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.**
- 9.5 თუ „მიმწოდებელი“ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს ვალდებულების შესრულებას, „შემსყიდველი“ წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმდება **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.**
- 9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 9.7 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
 - 9.7.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - 9.7.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;
 - 9.7.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
 - 9.7.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 9.8 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,

კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

- 10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 11.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

- 12.1 პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ ხელშეკრულებაში, დარეგულირებული და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ენა

- 13.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.
- 13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება „მიმწოდებლისათვის“ მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14. შეტყობინება

- 14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

- 15.1 უცხოელი „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
- 15.2 ადგილობრივი „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2015 წლის 31 დეკემბრამდე**.

17. სხვა პირობები

- 17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „მიმწოდებელთან“ და ერთი

პირი „შემსყიდველთან“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და
პრობაციის ეროვნული სააგენტო

გიორგი ჩიფჩიური

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - საკონკურსო წინადადების ფასი;
 - საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
 - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოდგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	საკონკურსო წინანადების ღირებულება: (მითითებული უნდა იყოს ფასი მოიცავს თუ არა დღ-ს)	
3.	ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ:	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

#	სამუშაოების დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	დამკვეთის დასახელება	ხელშეკრულებისა და/ან SPA ნომერი	ხელშეკრულების თარიღი	ხელშეკრულების ღირებულება
1					
2					
3					
n					

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ტექნიკური დავალება

საპროექტო სამუშაოები

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებისთვის შენობა-ნაგებობების არარეაბილიტირებული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციის, ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობის და ტერიტორიის (ეზოს) არარეაბილიტირებული ნაწილის კეთილმოწყობის არქიტექტურული სარეკონსტრუქციო სამუშაოების სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

თერჯოლის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების სარემონტო სამშენებლო პროექტის საერთო ტექნიკური დავალება

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების კომპლექსის მოსაწყობად გამოყოფილ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა - ნაგებობების, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის (შესწავლილი იქნა ტექნიკური მდგომარეობა, კონსტრუქციების საინჟინრო გამოკვლევა და შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისინობა) საფუძველზე მიღებულია შემდეგი გადაწყვეტილება:

- არსებული შენობა-ნაგებობებიდან შენარჩუნდეს 4 სართულიანი შენობა სარდაფით და 2 სართულიანი დამხმარე შენობა;
- მოხდეს არსებული ლითონის ღობის დემონტაჟი;
- მოეწყოს ახალი რკინაბეტონის ღობე;
- დარჩენილი შენობა-ნაგებობები დაიშალოს და სარდაფები ამოივსოს სამშენებლო ნარჩენებით და შემოტანილი გრუნტით;
- დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი კონსტრუქციები და სამშენებლო მასალები დასაწყობდეს ტერიტორიის გარეთ წინასწარ მითითებულ ადგილებში, ხოლო დაშლის შემდგომ მიღებული ჭარბი სამშენებლო ნაგავი გატანილი იქნას ნაგავსაყრეზე და მოხდეს მისი გაშლა და დატკეპვნა;
- შენარჩუნებული შენობები შესწავლილი იქნას შესაბამისი ლიცენზიის მქონე საექსპერტო-საპროექტო ორგანიზაციის მიერ სეისმური, კონსტრუქციული და გეოლოგიური თვალსაზრისით, რომლის საფუძველზეც მოხდეს სათანადო კონსტრუქციული გადაწყვეტილებები მიღება. გამაგრება-გამლიერების პროექტით მიღწეულ იქნას შენობა-ნაგებობების სეისმომდგობის და მზიდუნარიანობის გაზრდა მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების შესაბამისად;
- 4 სართულიანი შენობის სარდაფის გარე პერიმეტრზე მოეწყოს ჰიდროიზოლაცია და დრენაჟი;
- ახალი 3 სამსართულიანი საცხოვრებელი შენობა მიშენებით, მოეწყოს სარდაფის გარეშე, პირველი სართულის იატაკი მოეწყოს (30-45სმ) მაღლა სარინელის ნიშნულიდან;
- ახალი და ძველი შენობა-ნაგებობების პროექტებს ჩაუტარდეს ექსპერტიზა „შემსყიდველთან“ შეთანხმებით შესაბამისი ლიცენზიის მქონე საექსპერტო-საპროექტო ორგანიზაციის მიერ.

საპროექტო ტექნიკური დავალება

I. ღობე, ტერიტორია და სხვა საერთო მოთხოვნები

1. დაწესებულების პერიმეტრზე უნდა მოეწყოს 3.მ სიმაღლის რკინაბეტონის ღობე;
2. პერიმეტრის ღობე უნდა აღიჭურვოს განათების სისტემით;
3. უნდა მოეწყოს კომუნიკაციები გაზი, დენი, წყალი, ეზოს საკანალიზაციო ქვებით;
 - ბუნებრივი გაზი შემოგვყავს დაახლოებით 500 მ.
 - წყალი შემოგვყავს 1200 მ.
 - ელენერგია შემოგვყავს 300 მ.
 - ტერიტორიაზე მოეწყოს სატრანსფორმატორო ქვესადგური
4. უნდა მოეწყოს ალტერნატიული წყლის ავზი მინიმუმ 20 ტონიანი;
5. დაწესებულების შესასვლელში უნდა აშენდეს იზოლირებული შენობა, სადაც განთავსდება საკონტროლო გამშვები პუნქტი არანაკლებ 100 კვ.მ. (თავისივე სველი წერტილებით);
6. საკონტროლო გამშვები პუნქტის მოპირდაპირე მხარეს უნდა მოეწყოს სადგომი 16 ავტომობილზე;
7. ავტო სადგომის ბოლოს უნდა მოეწყოს დამატებითი ტექნიკური შესასვლელი კარი დაწესებულების ტერიტორიაზე ;
8. ცენტრალური გათბობისათვის უნდა მოეწყოს საქვებზე (სპორტდარბაზთან);
9. უნდა მოეწყოს ალტერნატიული დენის წყარო (გენერატორი);
10. ყველა შენობაში უნდა მოეწყოს სავენტილაციო არხები;
11. ყველა შენობაში უნდა მოეწყოს ცენტრალური გათბობა/ვენტილაციის და კონდინციონირების სისტემები;
12. უნდა მოპირკეთდეს და მოიკირწლოს შენობებს შორის სავალი ბილიკები და გზები;
13. ყველა შენობაზე მოეწყოს ბრტყელი გადახურვა რულონური ჰიდროსაიზოლაციო მასალებით;
14. ეზოში მოეწყოს 4 საზაფხულო ფანჩატური;
15. ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ფეხბურთის მოედანი, ხელოვნური საფარით, ერთ მხარეს ტრიბუნით;
16. ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს კალათბურთის მოედანი, ასფალტის საფარით;
17. ფეკალური წყლების მისაღებად ტერიტორიის მიმდებარედ მოეწყოს რკინაბეტონის ანტისეპტიკი.

II. ადმინისტრაციული შენობა სარდაფით

1. I სართულზე მოეწყოს:

- სამზარეულო გარე მიმღები ბაქნით, სამრეცხაოთი და ორი სველი წერტილით (საშხაპის ჩათვლით);
- სასადილო შემოსასვლელი კიბით, ჰოლით და არანაკლებ 7 ხელსაბნით (შენობის უკანა მხარეს);
- საგუშაგო არანაკლებ 10 კვ.მ (ლამინატის იატაკით);
- საერთო სარგებლობის სანკვანძი (3 წერტილი - 2 მამაკაცების, 1 ქალების);
- მთავარი შემოსასვლელი ჰოლი დერეფნით (დაიგოს კერამოგრანიტი);
- დამლაგებლის ოთახი (2 ნიჟარით);
- მთავარი შემოსასვლელი კიბე და სხვა გარე კიბეები მოპირკეთდეს ბაზალტის ფილებით და მოეწყოს ლითონის მოაჯირები;
- სამზარეულოში, სასადილოში და სველ წერტილებში დაიგოს მეტლახი, ხოლო კედლებზე გაიკრას კაფელი საჭირო სიმაღლეებზე;
- შიგა ტიხრები მოეწყოს ბლოკით ან აგურით;
- შემოსასვლელ ჰოლებში და სასადილო ოთახებში მოეწყოს „არმსტრონგი“-ს ჭერი;
- სამზარეულოში და სველ წერტილებში მოეწყოს პლასტიკატის ჭერი ან გაილესოს ცემენტის ხსნარით;
- კედლები ყველგან გაილესოს ცემენტის ხსნარით;
- კედლები შეიღებოს ზეთოვანი და წყალემულსიური საღებავებით;
- სამზარეულოს შემოსასვლელი კარი - რკინის, ჰოლის კარები -ალუმინის, შიგა კარები მდფ-ის, სანკვანძების კარები მეტალო-პლასმასის;

2. II სართულზე მოეწყოს:

- ჯგუფური თერაპიის 3 ოთახი (35,7+53,8+75,3)164,8 კვ.მ;
- ინდივიდუალური გასაუბრების ოთახი (18,1+18,3+17,9+18,1)72,4 კვ.მ;

- შეხვედრების ოთახი 75,1 კვ.მ;
- საგუმზაგო 17,7 კვ.მ;
- საერთო სარგებლობის სანკვანძი (3 წერტილი - 2 მამაკაცების, 1 ქალების);

3. III სართულზე მოეწყოს:

- დაწესებულების უფროსის მოადგილის კაბინეტი მოსასვენებელი ოთახით და სანკვანძით (35,5 კვ.მ);
- უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ოთახი (18,1 კვ.მ);
- უსაფრთხოების სამსახურის მუშაკების ოთახი (50,7 კვ.მ);
- უსაფრთხოების სამსახურის მუშაკების მოსასვენებელი (21,8 კვ.მ);
- ვიდეო კონტროლის ოთახი (54,8 კვ.მ);
- სარეაბილიტაციო სამსახურის უფროსის ოთახი (18,1 კვ.მ);
- სარეაბილიტაციო სამსახურის მუშაკების ოთახი (75,0 კვ.მ);
- სასერვერო (36,3 კვ.მ);
- საერთო სარგებლობის სანკვანძი (3 წერტილი - 2 მამაკაცების, 1 ქალების);

4. IV სართულზე მოეწყოს:

- დაწესებულების უფროსის კაბინეტი მოსასვენებელი ოთახით და სანკვანძით (36,5 კვ.მ);
- დაწესებულების უფროსის მისაღები ოთახი (17,6 კვ.მ);
- დაწესებულების უფროსის მოადგილის კაბინეტი მოსასვენებელი ოთახით და სანკვანძით (35,5 კვ.მ);
- კანცელარია (35,5 კვ.მ)
- აღსრულების სამსახურის უფროსის ოთახი (18,0 კვ.მ);
- აღსრულების სამსახურის მუშაკების ოთახი (35,8 კვ.მ);
- ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის ოთახი (20,3 კვ.მ);
- ლოჯისტიკის სამსახურის მუშაკების ოთახი (20,3 კვ.მ);
- სათათბირო ოთახი (35,8 კვ.მ)
- საერთო სარგებლობის სანკვანძი (3 წერტილი - 2 მამაკაცების, 1 ქალების);

5. სარდაფში მოეწყოს:

- სხვადასხვა დანიშნულების საწყობები;
- სამრეცხაო, საუთაო და საშრობი ოთახები;
- მოიხსნას ძველი ნაღესი და კედლები და ჭერი ყველგან შეიღეს ცემენტის ხსნარით;
- სარდაფში ჩასასვლელი დაიშალოს, გაგანივრდეს და შეიღეს ცემენტის ხსნარით;
- ყველგან მოეწყოს მეტლახის იატაკი;
- სარდაფში ჩასასვლელში და შიგა სათავსოების გამყოფებში დაყენდეს რკინის კარები, სხვა ღიობებში მოეწყოს მეტალო პლასმასის კარ-ფანჯრები;
- კედლები და ჭერი შეიღებოს წყალემულსიური საღებავებით;
- კედლებზე გაიკრას კაფელი სამრეცხაო და სხვა ოთახებში საჭიროების მიხედვით;

6. შიგა სამშენებლო და მოპირკეთების სამუშაოები:

- II, III და IV სართულებზე ახალი ტიხრები მოეწყოს თაბაშირმუყაოს ფილებით დათბუნებით;
- ყველა შიგა კედლიდან მოიხსნას ნაღესი და გაიღეს ცემენტის ხსნარით მ-100;
- დაწესებულების დირექტორისა და მოადგილეების კაბინეტებში მოეწყოს თაბაშირმუყაოს ჭერი (დეკორატიული);
- სხვა ოთახებში და ჰოლში მოეწყოს „არმსტრონგი“-ს ჭერი;
- ჰოლში, კორიდორებში და კიბის უჯრედებში დაიგოს კერამოგრანიტის იატაკი (კიბეებზე დაყენდეს მოსრიალების საწინააგმდეგო კანტები) პლინტუსებით, ხოლო სანკვანძებში დაიგოს მეტლახი;
- კაბინეტებში დაიგოს ხარისხიანი ლამინატის იატაკი პლინტუსებით (გერმანულის, ბელგიური ანალოგები);
- შიგა კარები მდფ-ის მაღალი ხარისხის;
- სანკვანძის შიგა კარები მეტალოპლასმასის;
- ფანჯრები - მეტალოპლასმასის გაღების ორი პოზიციით;
- სანკვანძებში კაფელი გაიკრას ჭერამდე;
- კედლები შეიღებოს მაღალი ხარისხის წყალემულსიური საღებავით;

- კიბის უჯრედებში მოეწეოს ლითონის მოაჯირები, ხის გალაკული სახელურებით.

7. გარე სამუშაოები:

- ფასადებიდან მოიხსნას ძველი ნალესი და შეიღესოს ცემენტის ხსნარით მ-100;
- ფასადები დაიბრიზგოს და შეიღებოს წყალმდევეგი ფასადის საღებავით;
- ფანჯრებზე მოეწეოს მოთუთიებული თუნუქის საცრემლეები (არანაკლებ 0,55მმ);
- მოეწეოს სახურავზე ასასვლელი;
- სახურავის პარაპეტზე მოეწეოს მოთუთიებული თუნუქის ქუდი (არანაკლებ 0,55მმ);
- მოეწეოს წყალგადამყვანი ძაბრები და მილები მოთუთიებული თუნუქით (0,7მმ).

III. საცხოვრებელი ბლოკი ერთ სართულიანი მიშენებით

1. საცხოვრებელი ბლოკის I სართულზე მოეწეოს:

- საგუმზაგო სანკვანძით (20კვ.მ);
- სამედიცინო პუნქტი (40,1კვ.მ) და სტომატოლოგიური კაბინეტი (34,1 კვ.მ) ორი სანკვანძით თითოეული (3,4კვ.მ -1 მამაკაცების, 1 ქალების);
- 17 ცალი 4 კაციანი საკანი (არანაკლებ 21,0 კვ.მ);
- 2 საერთო სარგებლობის სანკვანძი, თითოეულში: 5 სამზაპე, 4 უნიტაზი, 2 ან 3 პისუარი და 8 ხელსაბანი;
- ჰოლი, 2 შემოსასვლელი ორფრთიანი ალუმინის კარებით;
- კორიდორი სიგანით არანაკლებ 2,6 მ;
- ორი კიბის უჯრედი (შიგა კარების გარეშე).

2. საცხოვრებელი ბლოკის II (III) სართულზე მოეწეოს:

- საგუმზაგო სანკვანძით (20კვ.მ);
- 23 ცალი 4 კაციანი საკანი (არანაკლებ 21,0 კვ.მ);
- 2 საერთო სარგებლობის სანკვანძი, თითოეულში: 5 სამზაპე, 4 უნიტაზი, 2 ან 3 პისუარი და 8 ხელსაბანი;
- კორიდორი სიგანით არანაკლებ 2,6 მ;
- ორი კიბის უჯრედი (შიგა კარების გარეშე).

3. ერთ სართულიან მიშენების ნაწილში მოეწეოს:

- მაღაზია (27,5 კვ.მ), საწყობი (12,2 კვ.მ), ტამბური (5,4 კვ.მ) და სანკვანძი ერთ ადგილზე;
- მაღაზიას და საწყობს დაუყენდეს რკინის კარები;
- შიგა კარები მოეწეოს მდფ-ის, ხოლო სანკვანძში მეტალოპლასმასის;
- ფანჯრები მოეწეოს მეტალოპლასმასის, ლითონის გისოსებით;
- ოთახებში ყველგან დაიგოს მეტლახი, ხოლო დახლის შიგნით ლამინატი;
- ტიხრები აშენდეს ბლოკით ან აგურით;
- კედლები და ჭერი შეიღესოს ცემენტის ხსნარით მ-100;
- კედლები და ჭერი შეიღებოს წყალემულსიური საღებავით;
- სანკვანძში კედელზე გაიკრას კაფელი 1,5 მ.

4. ერთ სართულიან მიშენების დარჩენილ ნაწილში მოეწეოს:

- 5 ცალი სამართლო საკანი სველი წერტილით (თითოეული არანაკლებ 10,0 კვ.მ)
- ყველა სამართლო საკანს უნდა ქონდეს გისოსებით აღჭურვილი ფანჯარა (0,70*1,20);
- შიდა ტიხრების ამოყვანა უნდა განხორციელდეს ბლოკით ან აგურით
- კედლები და ჭერი შეიღესოს ცემენტის ხსნარით;
- საცხოვრებელ ოთახებში იატაკი უნდა მოეწეოს მუქი ფერის ლამინატი
- დერეფნებში და სველ წერტილებში იატაკზე უნდა დაიგოს მეტლახი;
- სანკვანძებში გაიკრას კაფელი;
- ყველა ფანჯარა უნდა ჩადგეს მეტალო პლასტმასის;
- საკნების კარი უნდა იყოს რკინის, ე.წ. კარმუშკით;
- შიდა სამღებრო სამუშაოები უნდა მოხდეს სერ ფერში;
- შიგა კარები მოეწეოს მეტალოპლასმასის;
- სართულზე უნდა მოეწეოს საგუმზაგო რკინის კარებით, გისოსებით და სველი წერტილით;

- საგუშაგოში მოეწყოს ლამინატის იატაკი
 - შიგა ფანჯრები მეტალოპლასმასის.
5. საცხოვრებელი ბლოკის სამშენებლო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები:
- შიგა ტიხრები მოეწყოს ბლოკის ან აგურის;
 - შიგა კედლები ყველგან შეილესოს ცემენტის ხსნარით;
 - საკნებში ჭერი შეილესოს ცემენტის ხსნარით, იგივეა სანკვანძებში;
 - დერეფანში მოეწყოს „არმსტრონგი“-ს ჭერი;
 - საკნებში იატაკზე დაიგოს ლამინატი;
 - პირველ სართულზე დერეფნებში და ჰოლში დაიგოს კერამოგრანიტი პლინტუსებით;
 - II და III სართულებზე დერეფანებში და ყველა სანკვანძებში დაიგოს მეტლახი პლინტუსებით;
 - სამედიცინო პუნქტში, სტომატოლოგიურ კაბინეტში და სამივე სართულის საგუშაგოს იატაკზე დაიგოს ლამინატი;
 - სამივე სართულზე გარდა სანკვანძებისა მოეწყოს მდგ-ის კარები;
 - სამივე სართულის სანკვანძებში მოეწყოს მეტალოპლასმასის კარები;
 - ფანჯრები მთელ შენობაში მოეწყოს მეტალოპლასმასის - საკნებში და სანკვანძებში გაღების ერთი პოზიციით, ხოლო დანარჩენ ოთახებში და კიბის უჯრედებში გაღების ერთი პოზიციით;
 - სანკვანძებში კაფელი კედლებზე გაიკრას 2,20მ, საშხაპებში და სხვა ადგილებში 1,5მ;
 - სანკვანძებში ჭერი და კედლები შეიღებოს წყალემულსიური საღებავით თეთრად;
 - საკნების, დერეფნის და საგუშაგოს კედლები 1,5მ სიმაღლეზე შეიღებოს ზეთოვანი საღებავით, ხოლო დანარჩენილი ნაწილები და ჭერი წყალემულსიური საღებავით;
 - კიბის უჯრედში მოეწყოს ჩამოსხმული მოზაიკური კიბის საფეხურები 1,35მ;
 - კიბის უჯრედში მოეწყოს ლითონის მოაჯირები პლასმასის სახელურებით.
6. გარე სამუშაოები:
- ფასადები შეილესოს ცემენტის ხსნარით მ-100;
 - ფასადები დაიბრიზგოს და შეიღებოს წყალმედეგი ფასადის საღებავით;
 - ფანჯრებზე მოეწყოს მოთუთიებული თუნუქის საცრემლეები (არანაკლებ 0,55მმ);
 - მოეწყოს სახურავზე ასასვლელი კიბის უჯრედებიდან გარე ლითონის კიბე;
 - სახურავის პარაპეტზე მოეწყოს მოთუთიებული თუნუქის ქუდი (0,55მმ)
 - მოეწყოს წყალგადამყვანი ძაბრები და მილები მოთუთიებული თუნუქით(0,77მმ).

IV. სპორტული და სასწავლო ბლოკი

1. I სართულზე უნდა მოეწყოს:

- სპორტდარბაზი (80,6 კვ.მ);
- საგუშაგო (5,1 კვ.მ);
- საერთო სარგებლობის სანკვანძი, 2 საშხაპე, 2 უნიტაზი, 3 ხელსაბანი, 1 პისუარი;
- კიბის ლითონის კოსოურები და მოზაიკური კიბის საფეხურები 1,2 მ;

2. II სართულზე უნდა მოეწყოს:

- 2 სასწავლო ოთახი (32,4 და 39,6 კვ.მ);
- დერეფანი;
- პედაგოგის კაბინეტი (10,8კვ.მ);
- სანკვანძი -1 უნიტაზი, 1 პირსაბანი (3,0 კვ.მ);

3. შიგა სამშენებლო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები:

- კედლებიდან მოიხსნას ძველი ნალესი და შეილესოს ცემენტის ხსნარით მ-100;
- შიგა ტიხრები მოეწყოს თაბაშირმუყაოს ფილებით (თბოიზოლაციით);
- სანკვანძებში ტიხარი მოეწყოს ბლოკით 10,0 სმ;
- სპორტდარბაზში, კორიდორებში და სასწავლო ოთახებში დაიგოს ლინოლიუმი პლინტუსებით (პემზის მათბუნებელი ფენით);
- პედაგოგის კაბინეტში და საგუშაგოში დაიგოს ლამინატის იატაკი;
- სანკვანძებში და კიბის უჯრედში დაიგოს მეტლახი;
- სანკვანძებში გაიკრას კაფელი 2,20მ, საშხაპეში და სხვა ადგილებში 1,5მ;

- ჭერი ყველგან მოეწყოს „არმსტრონგი“-ს გარდა კიბის უჯრედებისა;
- კიბის უჯრედში მოეწყოს თაბაშირმუყაოს ჭერი;
- შენობის შესასვლელში მოეწყოს რკინის კარები;
- დანარჩენ ოთახებში და სანკვანძებში მოეწყოს მეტალოპლასმასის კარ-ფანჯრები და ფრამურგები;
- შიგა კედლები და ტიხრები შეიღებოს წყალემულსიური საღებავით;

4. გარე სამუშაოები:

- ფასადები შეიღეს ცემენტის ხსნარით მ-100;
- ფასადები დაიბრიზგოს და შეიღებოს წყალმედეგი ფასადის საღებავით;
- ფანჯრებზე მოეწყოს მოთუთიებული თუნუქის საცრემლეები (არანაკლებ 0,55მმ);
- მოეწყოს სახურავზე ასასვლელი გარე ლითონის კიბე;
- სახურავის პარაპეტზე მოეწყოს მოთუთიებული თუნუქის ქუდი (0,55მმ);
- მოეწყოს წყალგადამყვანი ძაბრები და მილები მოთუთიებული თუნუქით(0,77მმ).

V. საქვების შენობა ზომით (5,0*3,0)მ.

- საქვების შენობაში მოეწყოს რკინაბეტონის ლენტური საძირკველი;
- კედლები მოეწყოს 20სმ. ბლოკით;
- სახურავი ბრტყელი რკინაბეტონის ფილით;
- იატაკი ბეტონის ლორღის ფენაზე;
- კედლები ორივე მხრიდან შეიღეს ცემენტის ხსნარით და შეიღებოს წყალემულსიური საღებავით;
- საქვებში მოეწყოს ლითონის ცხაურიანი კარ-ფანჯრები;
- საქვებზე მოეწყოს საკვამლე მილი

VI. საკონტროლო-გამშვები პუნქტი 2 გარე სანკვანძით

1. საკონტროლო-გამშვები პუნქტში მოეწყოს:

- გამშვები ვახტა (12,0კვ.მ);
- დერეფანი ტურნიკებით (36,4კვ.მ);
- მოსასვენებელი სანკვანძით (12,0კვ.მ);
- 2 საჩხრეკი (12,0 და 12,0კვ.მ);
- ორი გარე ტუალეტი (3,9*2)7,8 კვ.მ.

2. სამშენებლო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები:

- შიგა და გარე კედლები მოეწყოს 20,0 სმ ბლოკით;
- შიგა კედლები გაიღეს ცემენტის ხსნარით მ-100;
- შიგა ტიხრები მოეწყოს 10,0 სმ ბლოკით;
- მოეწყოს ბეტონის იატაკი და კიბეები ბაქნებით;
- მოსასვენებელში და ვახტაში მოეწყოს ლამინატის იატაკი პლინტუსებით;
- კორიდორში და საჩხრეკ ოთახებში დაიგოს სერი კერამოგრანტის ფილები და მოეწყოს პლინტუსები
- სანკვანძებში დაიგოს მეტლახი;
- სანკვანძებში გაიკრას კაფელი 1,5 მ. სიმაღლეზე;
- გამშვებ ვახტაში და დერეფნებში ალუმინის კარები და ვიტრაჟები;
- შიგა კარები მდფ-ის;
- სანკვანძის კარები და სარკმელები მეტალოპლასმასის;
- საჩხრეკის ფანჯრები და ფრამურგები მეტალოპლასმასის;
- კედლები შეიღებოს წყალემულსიური საღებავით;
- ჭერი ყველგან მოეწყოს „არმსტრონგი“-ს ფილებით.


3. გარე სამუშაოები:

- ფასადები შეიღეს ცემენტის ხსნარით მ-100;
- ფასადები დაიბრიზგოს და შეიღებოს წყალმედეგი ფასადის საღებავით;
- ფანჯრებზე მოეწყოს მოთუთიებული თუნუქის საცრემლეები (არანაკლებ 0,55მმ);
- მოეწყოს სახურავზე ასასვლელი გარე ლითონის კიბე;
- სახურავის პარაპეტზე მოეწყოს მოთუთიებული თუნუქის ქუდი (0,55მმ);

- მოეწიოს წყალგადამყვანი ძაბრები და მილები მოთუთიებული თუნუქით(0,77მმ).

საკონკურსო განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

- ტოპოგრაფიული გეგმა



ეცხლიკაცია

1. ადმინისტრაციული კორპუსი
2. საცხოვრებელი ბლოკი
3. სპორტული და და სასწავლო ბლო
4. მაღაზია
5. სამართო საკნები
6. საქვაბე
7. საკონტროლო-გამშვები პუნქტი
8. ანტისეპტიკი
9. წყლის რეზერვუარი
10. ფეხბურთის მოედანი
11. კალათბურთის მოედანი
12. ფანჯატურები
13. რეინაბეტონის ღობე
14. ავტოსადგომი
15. შიდა გზა
16. დასაშლელი საქვაბე (ძველი)
17. დასაშლელი 2 სართულიანი შენობა
18. დასაშლელი სამრეწველო შენობა